ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6613932

ნომერი: AR1982681

თარიღი : 08.08.2023

გაცემის თარიღი : 15.08.2023

გაცნობის თარიღი : 17.08.2023

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა, N 19გ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ანა ჩხაიძე პ/ნ 35001121433
- საქართველო, ქალაქი რუსთავი, მიხეილ ლერმონტოვის ქუჩა, N 10, ბინა 14

ნომენკლატურა :

- ქარხანა
- III კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ჰაქან იავუზ
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01092000976

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 10296.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 3035.4
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 9438.61
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 7701.25
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 1737.36

- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 12.8
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 11.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 1.8

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

01.სადემონტაჟო შენობის მომიჯნავედ ფიქსირდება:
* ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეული-ს საკუთრებაში არსებული გარე განათების თვითმზიდი იზოლირებული სადენი (ს/კ 01.00.087).
* ინტერნეტის ქსელი.
* ბუნებრივი აირით მომარაგების ძირითადი ქსელი

საჭიროა წარმოდგენილი იქნას მესაკუთრეების მიერ გაცემული თანხმობა დემონტაჟით ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.

02. "ფაილის მიმაგრება -> "ფაილი მიამაგრეთ სურვილის შემთხვევაში:
წარმოადგინეთ სადემონტაჟიო შენობისარსებული სიტუაციის ამსახველი უახლესი ფოტომასალა თარიღის მითითებით. / წარმაოდგინეთ კლასის განმსაზღვრელი მონაცემების კროკები. / წარმოადგინეთ სადემონტაჟი შენობის საექსპერტო შეფასება დემონტაჟთან დაკავშირებით / ვინაიდან დროებითი ღობე საზღვრებს ცდება და შენობა განთავსებულია ზუსტად საზღვარზე, საჭიროა წარმაოდგინოღ მესაკუთრის თანხმობები.

03. წარმოადგინეთ მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე ზეგავლების დასკვნა/კვლევა.

04. • დამკვეთის ინფორმაციაში შეივსოს ორგანიზაციის ველები
• წარმოდგენილი იქნას განმცხადებელზე გაცემული, სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობა
• წარმოდგენილი იქნას მიწის ნაკვეთის იპოთეკარის თანხმობა (საჭიროების შემთხვევაში ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად)

არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს. გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.